ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

დასაქმების ხელშეწყობის უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	061010

ქვეპროგრამის დასახელება:

დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2026 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	100,000
სულ ბიუჯეტი:	100,000

ქვეპროგრამის მიზანი:

დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობა სამუშაო იარაღებით უზრუნველოფის გზით

ქვეპროგრამის აღწერა:

სამეწარმეო სექტორის, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო საწარმოების როლი მნიშვნელოვანია ქვეყნის მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკის განვითარების უზრუნველსაყოფად და დასაქმების ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნის პოტენციალით ეკონომიკის ძირითად ქვაკუთხედს წარმოადგენს. თუმცა აღსანიშნავია, რომ ერთის მხრივ, ქვეყანაში კვლავ დიდ გამოწვევად რჩება არაფორმალური თვითდასაქმება, რაც ქვეყნის ჩრდილოვან ეკონომიკაზე დადებითად აისახება, ხოლო მეორეს მხრივ, მწირია ხელწვდომა ისეთ რესურსებზე რაც კვალიფიციურ სპეციალისტებს თვითდასაქმების შესაძლებლობებსა და სამეწარმეო საქმიანობის დაწყებაში დაეხმარებათ ან/და თვითდასაქმების ფორმალიზებისკენ მოტივაციას გაზრდის. ქვეპროგრამა ითვალისწინებს, ფიზიკური პირებისა და საწარმოების საქმიანობის წამოწყება/ განვითარების მხარდაჭერას, შესაბამისი სამუშაო იარაღი/აღჭურვილობი/მოწყობილობით უზრუნველყოფით.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სამუშაო იარაღებით უზრუნველყოფა	10	9000	90,000
სამეწარმეო უნარების განვითარება	10	1000	10,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			100,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

საქმიანობის აღწერა	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ქვეპროგრამის შესახებ დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობა, ბენეფიციართა შერჩევა		X	X	X
მომწოდებლების გამოვლენა და ხელშეკრულებების გაფორმება			X	X

სამუშაო იარაღების გადაცემა			X	X
ქვეპროგრამის მონიტორინგის განხორციელება		X	X	X
მონიტორინგის შედეგების/ანგარიშის მომზადება და შეფასება		X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ქვეპროგრამის მოსარგებლეს აქვს გაზრდილი დასაქმებისა და თვითდასაქმების შესაძლებლობები;

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ქვეპროგრამის მოსარგებლეს აქვს გაზრდილი დასაქმებისა და თვითდასაქმების შესაძლებლობები;	ქვეპროგრამის მონაწილე ბენეფიციართა რაოდენობა	არანაკლებ 10	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო, მიმწოდებელი ორგანიზაცია	წელიწადში ერთხელ	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო	მონიტორინგის ჯგუფისა და მიმწოდებელის მიერ მოწოდებული ანგარიში
	იარაღით აღჭურვილი ბენეფიციარი	არანაკლებ 10	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო	წელიწადში ერთხელ	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო	მონიტორინგის ჯგუფის ანგარიში
	რეგისტრირებული მეწარმე სუბიექტი	არანაკლებ 10	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო	წლის განმავლობაში	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო	სამეწარმეო რეესტრი ბაზა